

რედაქცია: სოლოლაკზე, სერ-  
გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლ-  
ში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერ-  
გიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სა-  
ხლში, № 8.

ხელის-მომწერა მიიღება კანტო-  
რაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ ТИ-  
ПОГРАФЪ. Въ редакцію газ. „Дროგა“.

გაზეთის უასნი: მთელის წლი-  
სა—8 მან., ნახევარ წლითა—4 მან.  
და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

უკველ დღე ორშაბათს გარდა

# დროგა

ცალკე ხომერი ღირს უაუხათ

განცხადება: მიიღება კარგულს  
რუსულს, სომხულს და სხვ. ენებზე.

უასნი განცხადებისა: ღირს ასო-  
ვებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულთ  
სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცი-  
ვირითი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უზღუბა აქვს გას-  
წოროს და შეამოკლოს დასამუქდომ  
გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდომ  
სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ ნომრისათვის დანიშნული სტატი-  
ები „ბათუმის უკენაზედ“, „ღარიგებები  
უუ, ნ. ნაკოლაძისათვის“ და ზოგიერთი  
წერილი ამბები, რედაქციისაგან დამოუ-  
კიდებელის მიზეზებისა გამო, არ იბეჭდება.

### რედაქციისაგან

საჭაროდ ვრაცხთ გამომვაცხა-  
დომთ, რომ ვინაც მარტო ნახევარი  
წლის უფლი უამოუბანი რედაქცი-  
აში, იქას ამ პირველი ივლისიდან  
მომვაცხადება გაზეთის გაგზავნა

უმორჩილმსად ვთხოვთ იმ ხელის-  
მომწერებს, რომელთაც მარტო  
ნახევარი წლის გაზეთის უფლი ამჟამ  
უამოუბანილი, რომ, თუ ჰსურთ გა-  
ზეთით თავის დროზე და დაუბრკო-  
ლებლივ მიიღონ, რაც უმიძღვება და-  
უხმარონ დანარჩენი (მომწერ ნახევა-  
რის) უფლის უამოუბანას.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბერლინი, 1 ივლისს. ღღეს იყო უკა-  
ნასკნელი სნდონა ბერლინის პონგოეს-  
სისა. შორიგეის პირობა ხელ-მოწყოი-  
ლია. პირობა ორმოც-და თერამეტის  
მუხლსაგან შესდგება. აქსტრიის წარ-  
მოადგენელმა ადრასხიმ დაუმაღლა  
თ. ბიასოკა იმ დამახურებისათვის,  
რომ იქან დაბოლოვა ეს იძიე საქმე.  
ძანგრესის დაბოლოვდა თ. ბიამარკის  
პასუხითა. ღღლეგატები თავიანთ ქვე-  
ნედაში მიღიან.

რუჟინია და სერბია განთავისუფლე-  
ბულსი არიან ო. მალეთის მის. ცემ  
კიატრიბუციისაგან (ოქმის ხარჯისაგან).

ლონდონი, 30 ივნისს. ლარნაკიდან  
იწერებინ: გუმინ ი. გლისის წარმოძა-  
დაცნელმა ბკონიგმა და ო. მალეთისამ—  
სალი-ფამამ გამოუქხადეს ხალხს, რომ  
ძაპრის კუნძული იმკლისის სამფლობე-  
ლო შექნაო. მა აშბავი ხალხმა აღტა-  
ცებით მიიღო.

სტამბოლი, 30 ივნისს. ბერძნების  
მაჭრები ძალიან უკმაყოფილოთ არიან

ინგლისის მოქმედებაზედ. იქათ უარი  
სთქვეს იმ ბანკეთზე მონაწილეობის მი-  
ღებაზე, რომელსაც ჰპართავენ ინგლი-  
სის ვაჭრები.

პარიჟი, 30 ივნისს. ძალედონიის ად-  
გილობრივ მცხოვრებლებმა 89 ევროპი-  
ელი მოჰკლეს.

### ბირაჟი

#### პირველი შინაგანი სესხისა

პეტერბურღში, 1 ივლისს 1878 წ.

№ სერიისა:	№ ბილეთისა:	ჯამი მოგებისა:
16,711	6	200,000
14,653	12	75,000
12,005	44	40,000
11,998	31	25,000
5,765	15	10,000
111,290	36	10,000
18,487	43	10,000
22,317	46	
19,746	22	
3	14	
1,958	24	
17,360	15	
17,875	21	
7,446	29	
2,886	16	
8,166	38	
7,639	43	
13,277	14	
7,541	26	
18,282	50	
637	14	
17,632	3	
7,698	10	
5,394	26	
12,452	37	
18,906	49	
11,538	40	
3,169	37	
16,544	48	
7,241	13	
5,718	10	
3,106	40	
13,906	9	
1,159	43	
3,060	39	
751	29	
2,905	40	
12,465	34	
14,997	6	
8,500	50	

8,000 მან.  
5,000 მანეთი  
1,000 მანეთი

## საქართველო

### ჩვენი ხალხის განათლების საქმე

„ღროების“ მე-116 ნომრის კორრექ-  
პონდენციიდან კარგათ გაიკვებდა მკით-  
ხველი—თუ რა ცუდათ მიღის ხალხის  
განათლების საქმე საზოგადოთ მეთაისის  
გუბერნიისაში და განსაკუთრებით შორა-  
პნის უეზღში.

ამ საწუხარო მოვლენის მიზეზი  
არის პირველად ის, რომ მასწავლებლე-  
ბი არ არიან რიგიანად მომზადებულნი.  
სხეც არის მიზეზი ამას გარდა; მაგრამ  
ეს ყველაზე თავი მიზეზია. მეორე მიზე-  
ზი გახლავთ ის, რომ უხეირო ადგილებ-  
ზე არის აშენებული შკოლის სახლები.

სასწავლებლის რფროსებს ვერასო-  
დეს ვერ დაარწმუნებ, რომ ამ მიზეზე-  
ბით შკოლის საქმე ბრკოლდებოდეს.  
იინი ისეთ სასაცილო მიზეზებს მოვი-  
ყვანენ, რომ გაკვირდებით!...

ზოგნი ამბობენ და გახეთებშიაც გა-  
მოუთქვამთ ის ჰაზრი, რომ ხალხს ჯერ  
სწავლის გემო არ შეუტყეიაო და მუ-  
ყაითათ არ ჰკიდებს ხელს შკოლის საქ-  
მესო. სხეგან იქნება შენიშნოს კაცმა  
ეს, მაგრამ ჩვენში კი სრულებით ვერ  
შენიშნავთ ამას. ამის დასამტკიცებე-  
ლად საკმარა თვალი გადაავლოთ იმის-  
თანა შკოლებს, რომელნიც სოფლების  
განჩინებით არ არიან გახსნილი და  
სადაც მამასხალისის გლეჯით არ ეძლე-  
ვათ ფული მასწავლებლებს. ამისთანა  
შკოლები ორს თუ სამ ადგილას არის  
შორაპნის უეზღში.

ღირს ხანი არ არის, რაც უკირილა-  
ში გაიხსნა ორ-კლასიანი ნორმალური  
შკოლა. ეს შკოლა საესეა შეგირდებით.  
შოველ კაცს გააკვირვებს ამ შკოლის  
შეგირდების ერთგული სიარული სას-  
წავლებელში. მე თვითონ მოწამე ვარ  
შეგირდის ატირებისა და ბლავილასა,  
როდესაც ის რალაცა მიზეზის გამო არ  
გაუშვებს; ბავში თავს იკლავდა ტირი-  
ლით და ეხეწებოდა შშობლებს—გამი-  
შვით შკოლაშიო. ბაკვირდებოლთ, რომ  
შეგებდათ თუ რა გულ მოწადინეთ  
მირბოდნენ ხოლმე საშინელს ყინვაში  
შეგირდები ამ შკოლაში; მთხროველი  
ბევრი იყო, მაგრამ, ადგილის უქონებ-  
ლობისა გამო, ყველას მიღება არ შეიძ-  
ლება ამ შკოლაში.

რითი უნდა აეხსნათ ამისთანა ხალი-  
სიანი სწავლა შეგირდებისა ამ შკოლა-



ში? აქ ფულიც არის დადებული სწავლის უფლებებისათვის თითოეულ შაგირდზე სამ-სამი მანეთი, მაგრამ ამ ფულს იხდიან და მაინც აქ მოდიან, თუცა სოფლის შკოლაში ერთ კაპიკსაც არა ვინ ახდევინებს...

რა არის მიზეზი ასე მასწავლებლის საქის წყევანისა? რასაკვირველია მასწავლებელი, რომელსაც კარგათ შეესწავლია თავისი ხელობა და რომელიც ისე შეიქცევს შაგირდებს დიდიდამ საღამომდისან, რომ შაგირდს არ ახსოვს არც ჭამა და არც შინ წასვლა მოუხდება...

მაგრამ რა ქმნა იმისთანა მასწავლებლის ხელში შაგირდებმა, რომელნიც ნიადაგ მისჩერებთან საათის გასვლას, რომ მალე შაგირდები გაუშვან შინ? ხშირად თვითონ მამასახლისის კანცელარიაში გაბრძანდება და მასხარაობს და შაგირდები კი შკოლაში ჰყავს დამწყვედულ! რასაკვირველია, ყოველთვის უშაგირდოთ რჩება ამისთანა შკოლები.

შკირილის შკოლას თუნდა თავი დავანეთ. აქილოთ სამრევლო (პრიხოდის) შკოლები, რომელნიც მამასახლისის ჯამაგირის მოგროვისაგან თავი უფალნი არიან. თუცა ამ შკოლებში სწავლის უფლებისთვის 5—15 მ. ახდევინებენ; მაგრამ შაგირდები მაინც ბევრნი არიან. აქ მასწავლებელი იმას ცდილობს, რომ შაგირდს ასწავლოს რამე, თორემ ფულს ვერ მიიღებს. თუ კარგათ ასწავლა, მაშინ კი თავის სასყიდელს უნაკლებოდ იღებს.

სახალხო შკოლაში კი სულ სხვა წესია.

მრთხელ თუკი შეაქვინა საზოგადოება მამასახლისი იყო, თუ პრისტავი, და სოფლის შკოლის გახსნაზე ხელი ძოაწყობინა, — ამის შემდეგ შაგირდი საჭირო არ არის. მუხნებთან მათ: მასწავლებელს ჯამაგირი აძლიეთ, თორემ სულ ტყავს გააძრობთ! მასწავლებელი მამასახლისთან მეგობრობას იჭერს და ფიქრი აღარა აქვს: ჯამაგირს იღებს და შაგირდი თუნდა სულაც ნურავენ გაივლის შკოლაში!...

ზოგიერთ ადგილას მამასახლისებს შეებრალა საზოგადოება და სინიდიშმა შეაწუხა იგინი, რომ ტყუილათ ფულს ახდევინებენ; ხალხმა შეადგინა ხელახალი განჩინება შკოლის დაკეტაზე და მამასახლისის მიუტანეს წარსადგენლად სადაც ჯერ იყო. მამასახლისებმაც თავის ძხრით წარუდგინეს; ამ საზოგადოების შკოლის მასწავლებლები გაიქცნენ სადაც რიგი იყო და მოახსენეს: „ბატონო, მამასახლასმა ძალით შეადგენინა საზოგადოებას „პრიგოვორი“, თორემ ხალხს არ სურდა შკოლის დახურვაო.“ დაიბარეს მამასახლისები. შენს მტერს მოხვდა იმდენი, რამდენი იმათ ყბებში ურტყეს! ზოგმა სატუსალოშიც შერგო თავი... შამობრუნდნენ უკან და აღარ დაზოგეს არაფერი...

არის ერთი უბედური არეგ-დარევა ამ შკოლებისა გამო საზოგადოებაში. მღობები დაქცევით მოიხსენებენ იმ დღეს,

როდესაც შკოლების გახსნაზე განჩინება შეუდგენიათ. საზოგადოება ამტკიცებს: „ჩვენი ნება არის, შკოლას კიდევ გახსნიეთ და კიდევ დაექვეთვით. ამაზე ძალის დატანება არაფერს არ შეუძლიანო!“ სასწავლებლების უმფროსები და ადგილობრივი პოლიცია ამტკიცებენ, რომ, რადგან ერთხელ შეუდგენიათ განჩინება შკოლის გახსნაზე, საზოგადოებას აღარა აქვს უფლება შკოლა დახუროსო... სულ ტყავს გააძრობენ და მაინც გადაახდევინებენ შკოლისათვის ფულსაო.

ამაზე დღეს საქმე არის დაწყებული და გუბერნატორს აქვს განსახილველათ; არ იცის კაცმა — როგორ გადაწყვიტენ.

ამაობენ, რომ ერთჯერ თუ რამე გადაწყვიტია ყრილობას შკოლის შესახებ, აღარაფერის გზით მისი შემოღება საზოგადოებას აღარ შეუძლიაო. ამ ჰაზრს ჩვენ სრულებით არ ვეთანხმებით. ამისთანა ჰაზრის გადაწყვეტას ძრიელ კული შედეგი ექნება ჩვენი გლეხებისთვის და თვითონ შკოლების საქმისათვისაც. თუ დიდ ხანა გაატანა კიდევ ასე ძალ-დატანებით შკოლის ფულის მოგროვამ, ისე შეძგდება საზოგადოებას შკოლა, რომ არც ერთს შაგირდს არ შეიყვანს მასში. მოკეტებული ძალ-დატანება არაფერს საქმეში არ ვარგა და ამისთანა საქმეში ყველაზე უფრო მავნებელია.

ჩვენში ბევრი საზოგადოება არის კიდევ, სადაც შკოლა არ არის გახსნილი, მაგრამ აღარაფერის გზით არ შეგიძლიანთ ჩააგონოთ შკოლის გახსნა იმ საზოგადოებებში. არა თუ შკოლებზე, სხვა სასარგებლო საქმეზედაც ძრიელ არიან დაშინებულინი. რამდენიც უნდა ჩააგონო, აღარ ეყურებათ.

ხალხის განათლების საქმე უპირველესი საქმეა. მა საქმე დიდს მოთქმებას და გამოცდილებას თხოთლობს. სამწუხაროა, რომ ასე ადვილად ჰკიდებენ ხალხის განათლების საქმეს ხელს. სამწუხარო არის, რომ ამ საქმეში ირგვიან ისეთი პირები, რომელთაც ან არ შეუწავლიათ ჯერ კარგად ხალხს განათლების საქმის წყევანა, ანუ სხვა რაღაცა უცნაური მიზეზისა გამო, ჩვენ გვეჩვენებინ უცოდინარათ და არ უნდათ, რომ სწავლის საქმე თავის გზაზე დააყენონ და გასწიონ წინ.

ჩემის ჰაზრით, ათას წილათ საუმაჯობესო იქნება, ამდენი უხეირო და უთავბოლო შკოლები დაიხუროს და გახსნან იმისთანა ადგილებზე, სადაც მრავალი ხალხია და შკოლის შესაფერი ადგილია. ამისთანა ადგილები ჩვენს უჭრში არის შემდეგი სოფლები: წვეა, ჩხარა და საჩხარე; ერთიც შკირილა, სადაც შკოლა კიდევ არის. ამ შკოლებში უნდა იყვნენ დანიშნულნი მამასწავლებლო სემინარიში გამოზდილნი პირნი და ჯამაგირიც კარგი უნდა დავნიშნოსთ. მითონ შკოლაში ორ-ორი მაინც უნდა იყვნენ მასწავლებელნი. ეს ოთხი შკოლა უმეტეს სარგებლობას მოუტანს სწავლის საქმეს, ვინემ ყოველ საზოგადოებაში განხირული, უხეირო, უთავ-ბოლო, უმასწავლებლო და უშაგირდო შკოლები.

შკირილა, 30 ივნისს.

დღის განმარტება

\* \* სენატორი სტარიცკი, რომელიც, როგორც წინა ნომერში ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, უკვე დაბრუნდა სიღნაღის მაზრიდან თფილისში, დარწმუნებულია, რომ იქაურ სოფლის მოხელეები და ადმინისტრაციის წერიმალნი ჩინოვნიკები ბევრ უწესობასა და უკანონობას სჩადიონენო.

პორრესპონდენტი გეაცნობებს აგრეთვე, რომ მუდამ დღე მოდიან ჩვენს ქალაქში ბათუმიდამ ოსმალები და ლაზები დიდი ნავეებით, და თილოუებით და დიდძალი სიძინდი გააქეთ აქედამაო. ამ გარემოების წყალობით ჩვენში ახლა სიძინდი გაძვირდაო ასე, რომ ფუთი ზოგჯერ მანეთათ ისყიდებო.

\* \* სოფ. საგარეჯოლამ „თფილისის მოამბეში“ იწერებთან:

„აქაურ სასოფლო ბანკსა და დამზოგველთა ამხანაგობას ჩინებულად მიჰყავთ თავის საქმე. წელს გასაკვირველად უხვი მოსავალი მოვიდა ბური ა. ზოგიერთები უფ. ბუალიშვილის ახალ კერს ხმარობენ და ძალიან დიდს სარგებლობასაც პოულობენ: ეს კვერი ერთი-სამად უფრო ნაკლებ მუშას და საქანელს თხოულაბს. შექველია, რომ ამ კვერის შემდეგში ყველკან შემიღებენ, რადგან ადვილად სახმარებელია და კარგათაც ლეწავს...“

\* \* მუთიასილამ გვატყობინებენ, რომ ეს თითქმის სამი კვირა გადის, რაც აქეთკენ ერთი წვეთი წვიმა არ გვდირსებია და ამის გამო ძალიან ცხელია; თუ შემდეგშიაც ამისთანა გოლვა დიჭარა, თუცა წელს უხვი მოსავლის პირი ჩხანს, მაგრამ ეს სიცხე, უქველია, დიდ ზიანს მოუტანს ჩვენს წლევეანდელ მოსავალსაო.

„დ რ ო მ ბ ა“ კორესპონდენცია

ოქსიდიდამ 30 ივნისს. პირველად რიცხვში მარტის თვესა სამურზაყანოში და ბუზაზეთში იყო გიმოცემული ბრძანება, რომ ახალი უფროსი სოხუშის სამხედრო მაზრისა უფ. პოლკოვნიკი პრაკინი მოდის ხალხის დასახედავით, რათა შეისმინოს მათი თხოვნა, რადგან ამ ომის დროს ბევრი შეეწროება დაემართა ამ ქვეყანასო.

პატიომ ხალხი უნდა შეყრილიყო თავის საზოგადოებებში, და როდესაც

N. N.



მოვიდოდა თქული ნაჩაღნიკი, უნდა მოგხსენებია მასთვის თავის სათხოვარი ანუ საჩივრები.

პირველი საზოგადოება, რომელიც დახვდა უფ. პრაკინს, როცა გამოვიდა მდინარე ნეგურს, იყვნენ მცხოვრებნი სოფლებსა: მკარცეს, საბერისას, ღიხა-ზურგისასა და ჭაბუხინჯის. ამით მოახსენეს უფ. პრაკინს, რომ

„ჩვენ ბევრი გვაქვს სათხოვარი თქვენთან, მაგრამ ჯერ სხვა სათხოვარს ვტოვებთ, და უნდა მოგახსენოთ—ის, რომლისაგანაც მთელი სამურზაყანო არის შეწყუბებული; ეს ის არის, რომ ჩვენ ნაჩაღნიკათ არის დანიშნული შთაბის-კაპიტანი სალომკა; ეს კაცი სამურზაყანოში იყო ომის გამოცხადებამდის თანაშემწედ მკამჩირის ნაჩაღნიკისა; მაგრამ, რადგანაც მთელი ხალხი წინააღმდეგი იყო მისი, იმიტომ შეიტანეს საჩივარი და კიდევ, დროებით თუ სულ, გარდაყენებული იყო ადგილიდან, და დღეს კიდევ იგივე დაგვიჩვენებთ ნაჩაღნიკათ. იმის და ჩვენი მოწყობა არ შეიძლება... ამის გამო გთხოვთ, გვიპატიოთ ამ კაცისაგან და დაგვინიშნოთ სხვა ვინმე.“

ამ საჩივარზედ სამურზაყანოელებმა ბევრი საბუთები მოახსენეს უფ. პრაკინს, რომელშიაც შესანიშნავი არის ის, რომ უფ. სალომკა, მადლობას მოსახსენებლათ რომ მოვიდეს ვინმე მასთან, დიდი იყოს თუ პატარა, თვადი თუ აზნაური, ანუ გლეხი, სულ ყველას აგინებსო და შეურაცხყოფას მიაპყენებსო.

ხსენებული სალომკაც მაშინ იქ იყო თავ-დაღუნული და ისმენდა ამ საჩივარს. სამურზაყანოს დახვდა ისე ვაათავა პრაკინმა, რომ რომელ საზოგადოებაშიაც მივიდოდა, პირველი მათი—დიდის და პატარას—თხოვნა ის იყო, რომ სალომკასაგან განგვათავისუფლებოთ.

მკუქს რომ მოვიდა, მაშინ უფრო თავი-კაცები ვინც იყო, იმათ დაჰპირდა, რომ ერთი კვირის განმავლობაში თქვენ დაგინიშნავ ნაჩაღნიკათ პიჭვინტის ოკრულის ნაჩაღნიკს მაიორს ალექსანდროვიჩს, და სალომკას იქ გადავიყვანო. ეს ამბავი რომ გაიგეს აფხაზებმა, თავი შეიყარეს და როდესაც პრაკინი იქ მივიდა, სთხოვეს, რომ ჩვენ, მართალია, არ უნდა გვქონდეს პატივი ჩვენი შეცდომისაგან, მაგრამ სადაც ჩვენი შეცდომა ხელმწიფე იპპერატორმა გვაპატივა, იმედია, არც თქვენ მისცემთ იმას ყურადღებას, და ჩვენს თხოვნას შეასრულებთ; ჩვენი თხოვნა ეს არისო: ჩვენ გავიგეთო, რომ თქვენ

გნებავთ ჩვენი ნაჩაღნიკის გარდაყვანა სამურზაყანოში, და იმათი ნაჩაღნიკს სალომკას, ჩვენთვის დანიშნა. ეს თუ მართალია, დიდი და პატარა გთხოვთ, რომ ჩვენი ნაჩაღნიკი მაიორი ალექსანდროვიჩი ჩვენ ნუ წაგვერთმევა და ჩვენს თავს ნუ ჩაუგდებთ სალომკას ხელში.

ეს საჩივარი იყო ხალხისა ნეგური-დამ ლ. ზნამდი. სულ ყველა ამას ლაპარაკობდა...

ეს თვე არის იენისი და სალომკა კიდევ თავის ადგილზედაა...

სამურზაყანოში დადიან ახლა ვილაკა კაცები და, უფალის სალომკის ბრძანებით, ახდევინებენ ვის მანეთს, ვის ორს, ვის სამს და ვისაც არ შეუძლიან ფულად გარდახდა, პირუტყვის ართმევენ; ეს არ არის არც სახელმწიფო გარდასახადი და არც საზოგადოების სასარგებლოდ; ვილაკა ადვოკატს ვკირაობთო და იმის მისაცემათ გვინდაო! და არის ამაზედ შეყენებული ერთი დიდი ამბავი და უსიამოვნება.

ბ. ბ.—შვილი

### ომის აზრები

#### ქონგრესი

როგორც მოგხსენებთ, ქონგრესს გასულ შაბათს უნდა გაეთავეზინა ყველა თავის საქმეები და დაშლილიყო. ახლა იმაზედ არის ლაპარაკი—თუ როგორ უნდა შეასრულებინოს ქონგრესმა მსმალეთს ყველა თავის გარდაწყვეტილება. ამბობენ, ქონგრესმა დასდევა, რომ მეროპის სამხედრო ფლოტი უნდა გაეიდეს ღარდანელის წყალში და გაჩერდეს სტამბოლის პირ-და-პირ, სანამ მსმალეთი არ შეასრულებს ბერლინის ქონგრესის ყველა გადაწყვეტილებასაო.

ბეზეთი „Times“-ი გვაცნობებს, რომ ბევრი მოლაპარაკების შემდეგ, რუსეთი დათანხმდა, რომ ბათუმი მხოლოდ სავაჭრო ნავსადგურად შეიქნესო. ქონგრესის უკანასკნელს სხდომაზე ბათუმის ციხეების დანგრევის შესახებ ლაპარაკი სულაც არ ყოფილაო.

როგორც უკანასკნელის ფოჩტით მოსულის განთავსებამ სიანს, ბათუმის თაობაზედ გაცხარებული მოლაპარაკება ყოფილა ბერლინის ქონგრესზე. როდესაც

ლორდ ბაკონსწილდს უწყვეტად შეუწყობდა ისევე მსმალეთს უნდა დაეხმარებინათ სეთის წარმომადგენელს გრაფ შუელოეს გამოუცხადებია, რომ რუსეთი თანახმაა მხოლოდ, რომ ბათუმის ნავსადგური თავისუფალ ნავსადგურად შეიქნეს და რაც ციხეებია იქ, დაანგრიოს; მაგრამ, თუ ეს ქალაქი არ დაგვიტოვებ, მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით ისევე უკან წავილოთ ყველაფერი, რაც ბოლოგარისა და სხვა საგნების შესახებ დავითმეთო. ბოლოს თ. ბისმარკის უშუამდგომლობით ეს საქმე მშვიდობიანად გადავდეთო.

„ბარეის უწყებებში“ იწერებინან, რომ რუსეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლიან ბათუმით სარგებლობა, თუ იმას ფლოტი ეყოლებაო, თორემ ახლა ამ ნავსადგურით მხოლოდ ინგლისი ისარგებლებსო.

„Indép. Belge“-ში დაბეჭდილია ბერლინიდამ მიღებული შემდეგი ღებუა:

„მაკედონია, ტესალია და მპირი დასავლეთ რუმელიის ნაწილებს შეადგენენ. საბერძნეთს იმედი აქვს, რომ ამ ქვეყნებს ავტონომია (თავის საკუთარი მმართველობა) ექნება მინიჭებული.“

საზოგილოდ ბერძნები ძალიან უკმაყოფილოთ არიან ინგლისზედ; ამბობენ, ვითომც, თუ არ ინგლისსა, ბერძნები ომში გარეყვას აპირებდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ ძალით შეიერთებდნენ მპირს, ტესალიასა და ძანდიის კუნძულებს. ინგლისი დაჰპირდა თურმე მაშინ საბერძნეთს, ოღონდ ახლა ნუ აუტებთ მსმალეთს ომსაო და ქონგრესის საშუალებით გავირიგებთ, რასაც თხოულობთო. დაუჯერეს და ამნაირად მოტყუებული შეინგნო.“

უცხო ქვეყნის ზოგიერთს გაზეთებში იწერებინან, ვითომც ქონგრესმა გადაწყვიტაო, რომ აესტრიის ჯარებისაგან ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაქვრის თაობაზედ აესტრიამ და მსმალეთმა უნდა მოილაპარაკონ ერთმანეთში და ისინი უნდა მოთავსდნენო.

### განცხადებანი

ჭუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისჯიდება:

- 1) დედა ენა, ი. ბოგებაშვილისა, ფასი 45
- 2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული



- მოთხრობა ზრ. ჩრჩილოვისა ფასი 20კ.
- 3) **სოლი ვიტირო, თუ ფული?** კა-  
მედია ალ. თუთაივისა, ფასი 30 კაპ.
- 4) **ვეფხვის ტაოსანი**, შოთა რუსთვე-  
ლისა, ფასი 50 კაპ.
- 5) **მეფე ლირი**, დრამა შექსპირისა,  
ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქარ-  
თული და სახელმძღვანელო რუსული  
წიგნები კარტები, ატლასები, სურათები  
და სხვ.

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

## ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპო-  
ვონ ყოველგვარი ქართული ძველი და  
ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის  
ქვემოთ დუქნებში, № 2.

ზარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ და-  
იბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები  
შემდეგის: აღრესით: **Въ Тифлисѣ. Въ  
книжный магазинъ Григорія Чарквіани,  
въ зданіи Кашветской церкви, № 2.**

„ქვეკასის წიგნის საეაქრო მ. ლაზიაში“  
(Кавказская Книжная Торговля), ძუკის  
ხილსა თაფში, ა. ზუბალოვის სახლებში  
ისყიდება:

1. „**სიბრძნე-სიპრუვის წიგნი**“ (ქარ-  
თული არაკები დაზღაპრები მე-XVII და  
XVIII საუკუნის.) თხზულება **საბა-  
სულხან მრბელიანისა**, რუსულად  
ნათარგმნი და განმარტებული ალ. ცა-  
გარელისა გან. პეტერბ. 1878.

შასნი თათო წიგნისა 1 მან. 50, გაგზ-  
ვნით რვა ანაზი.

2. „**ქართული ენის გრამატიკულ  
ლიტერატურაზე**დ. პრიტიკული მიმო-

ხილვა. პეტერ. 1879. რუსული წიგნია.  
თხზულება ალ. ცაგარელისა.  
შასნი თათო წიგნისა 75 კაპ., გაგზვნით  
1 მან. და 10 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება **ბ. ჩარკვიან-  
ის წიგნის მაღაზიაში** და თელავს—  
სასულიერო სასწავლებელში, უფ. სან-  
ციეთან

### „ბატონიშვილი ირაკლის პირველი დრო

ანუ თავდადება ქართველთა“  
ტრეგედია ოთხ მოქმედებად, თხზუბ.  
თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-მრბელი-  
ანისა.

ბამოცეული ზ. ჭკინაძისაგან  
შასნი 30 კაპ მიკი

გამოვიდა და ისყიდება  
„**სოლი ვიტირო, თუ ფული?**“  
ძამედია ალ. თუთაივისა

ისყიდება: ქალაქ ში... წიგ-  
ნის მაღაზიებში და ალექს...  
თან, თელავს—**ირაკლი**—  
თან, ქარელს—**დავით ქეროზაშვილ-**  
თან, ხაშურისა და ბეჭათუნის  
უფრეტში, სურამს—**ზაქარია პარ-**  
წოვთან, ქუთაისს—**იაკობ მკანე-**  
ზოვთან და სვ. სერვაძესთან შოთში  
—**მლისბარ ბაბალოვთან, სხინვალს**  
—**თ. ივ. თაქთაქოვთან, საქაშვეთს—**  
**თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრის-**  
**ხევს—მასწ. მასე ნათაძესთან, გორ-**  
**ში—სტ. ზომოვეთან და თვითონ ავ-**  
**ტორთან.**

### ვისაც ჰსურს მოიპოვოს **ახალი**

**კეკრი** შეუძლიან მიჰპართოს ნ.  
აეალიღვილს, (ქუთაში, მლისავეტინსკის  
ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრუ-  
ლობს ამ კვერების გაკეთებინებას თავის  
ხელმძღვანელობით.

ნახეპარი წლის ხელის-მოწერა ბაჭეთს

## „მზოროზე“

(1 იელისიდან 1878 წლის 31 დეკემბრამდინ) მიიღება „**მზოროს**“ კანტო-  
რაში (ბოლოვისის პროპექტზე, სახლის № 7); გაგზენითა და მოტანით შასნი 8  
მანეთი. ქალაქს გარეშე მცხოვრებლებმა გაზეთი ამ აღრესით უნდა დაიბარონ:  
**Въ Тифлисѣ, въ редакцію газеты „Свѣтъ“.** ვისაც ჰსურს ხელის-მოწერის  
კვიტანცია მიიღოს, 5 კაპეიკიანი ღერბის მარკა უნდა გამოგზავნოს.

სხვა ვადებზე ხელის-მოწერის პარობა ისევ ძველი დარჩება: ერთის წლით—  
15 მან., სამი თვით—4 მან. და 25 კაპ. და ერთის თვით—1 მან. და 50 კაპ.  
მსურველს შეუძლიან მთელის წლით მოაწეროს გაზეთზე ხელი და ფული კი  
ყოველი სამი თვისა წინათვე წარმოადგინოს. (3-3)

## ახალი წიგნი

„**სოლი თუ გინდათ, ეს არის!**“

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი

ისყიდება: თფილისში—**მართანო-**  
ვის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—**ანტ. ლორთქიფანიძის**  
ბიბლიოთეკაში.

## ქირი

ბასასყიდი, ვისაც ჰსურს, შეუძლიან  
იყიდოს ქუთაში, ნაკოლაევის ქუჩაზე,  
საცა მ. ლ. პოტკოვის სპირტის სარდაფია  
სახლის № 44.

რბ. ზსა.	დილა.	სალა.	11 კ.	111 კ.	ტელეგრაფი	მ. კაპ	მაზანდა	მან კაპ	თფილისის საგაჟრნალო
თფილისი	9 21	5 18			მცხეთის სიტილიდან:		თფილისი, 2 იელის.		პრევის მაედანზე, წინამძღვაროვის
მცხეთა	10 11	6 27	68	38	შეთაისს, შოთს	1	შვე. თუა. ბანჯისა, ფთ.	1 40	სახლებში.
გორი	11 58	9 43	2 40	1 33	ბორს, დუშეთს, სიღნაღს	50	შველი წითელი	1 25	აეთამუფებს მიიღებენ ყოველ დღე,
ხაშური	1 29	11 57	3 92	2 18	როსტოვს, მდებსას, მოსკოვს	2	ჭერი ფული	1 25	კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.
სურამი	1 44		4 42	2 46	პეტერბურგს, შარშავას	2	ბამბა პრევისა, ფუთი	7	<b>მ რ შ ა ბ ა თ ს:</b> ქაუჩარიანც—ხი-
ქვირილი	5 49		5 81	3 23	მსმაღლეთში, შვეიცარიაში	3	— ამერიკისა, ფუთი	8	რურგი, ბრალევიჩი—შინაგ. ავამუ.
რიონი	6 57		6 75	3 75	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	ბაპენტლი ბამბა ფუთი	10	<b>ს ა მ შ ა ბ ა თ ს:</b> შერშიშვეი შინაგ.
საპტრედია	7 51		7 34	2 29	ინგლისში	3 75	მატული თუშური ფთ.	8 50	ავამუფობის, რეიხი და ბ.ხუტონი
აბ.სეაქი	8 43		8 57	4 76	<b>ფოშბა</b>		—თარაქამისა ფთ.	6	—ბეზიაობის თვალის.
შოთი	9 50		9 75	5 42	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე		აბრეშუმი ნუბური სტ.	2	<b>მ თ ს შ ა ბ ა თ ს:</b> შერშიშვეი—ში-
შოთი	9 83				კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხანშ.		ძონი, ფუთი	6	ნაგანი ავამუფ, ბაკეტი—გულის და
აბ.სენაკი	10 14		1 18	66	მზურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—		ძონის ხანთელი ფუთი.	9	წერების ავამუფ.
სამტრედია	11 5		2 6	1 14	სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან:		სტეფანიის ხანთელი, ფ.	13	
რიონი	12 13		3 4	1 69	თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ		ხორცი ძროხისა, ლიტ.	90	<b>ხ თ შ ა ბ ა თ ს:</b> შერშიშვეი—ში-
ქვირილი	1 18	ლაშე	3 98	2 21	დღე, კვირას გარდა. მზურგეთს—		—ცხერისა, ლიტრა	90	ნაგანი ავამუფ. ბაგრინსკი—თვალის
სურამი	5 12	1 10	5 33	2 96	ორშ. და პარასკ.		სპირტი, ვედრო	5 20	და <b>მ პ რ ს ტ ი</b> —კბილის.
ხაშური	5 39	1 37	5 84	3 24	წიგნის გაგზენა რუსეთში	კაპ.	შაქარი, ბოც. ფუთი	7 60	<b>პ ა რ ა ს კ ე ვ ს:</b> შერშიშვეი—შინაგ.
გორი	7 5	4 8	3 64	9	და სამზღვარ გარეთ:		—ფხვნილი ფუთი	6	ავამუფ. ბ.ხუტოვი და ქაუჩარიანცი.
მცხეთა	8 50	6 59	9 85	4	ლა წიგნის	4	შავა გრგვალი, გირვ.	70	<b>შ ა ბ ა თ ს:</b> შერშიშვეი შინაგანი ავამ-
თფილისი	9 31	7 56	7 75	42	და ბეჭდილის (სამი მისხალი)	8	ზოთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	მუფ. ბის., რე ხი—თვალის ავამუფ.
							თამბაქო, საშუალო ფუთი	8 50	და ბაკეტი—გულის და ნეკვების.